საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლევან ნემსაძის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**24**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**24**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**19**	**20**
პროფესიული თვისებები	**14**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**8**	**10**
პროფესიული აქტივობა	**3**	**5**
ქულათა ჯამი	**92**	**100**

სახელი, გვარი: მანუჩარ კაკოჩაშვილი

თარიღი: 26.06.2025

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
მანუჩარ კაკოჩაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - ლევან ნემსაძის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 10 აპრილის №1/35 განკარგულების საფუძველზე დაიწყო კონკურსი საქაროველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურა. რომლის ფარგლებში განვახორციელე კანდიდატ ლევან ნემსაძის შეფასება. შეფასების დასაბუთებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით.

კანდიდატის თაობაზე მოძიებული ზოგადი ინფორმაცია: კანდიდატი დაიბადა 1979 წლის 23 სექტემბერს. უმაღლესი იურიდიული განათლებით, მაგისტრთან გაიანაბრებული (თსუ). სპეციალობით მუშაობის გამოცდილება 14 წელი,

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით: „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის მიხედვით კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლები.

1. <u>**პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:**</u>

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.(351 მუხლის მე-4 პუნქტი)

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოძიებული ინფორმაციის, ასევე საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე დგინდება, რომ კანდიდატს არ აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება უფიქსირდება ექვსი ადმინისტრაციული საჯარიმო ქვითარი. საგზაო მოძრაობის წესის დარღვევისათვის, თუმცა ყველა ჯარიმა გადახდილია დროულად.

კანდიდატს არ უფიქსირდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შედგენილი ელექტრონული საჯარიმო ქვითარი.

რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის დამოუკიდებლობას, სამართლიანობას, გულისხმიერებას, საქმისადმი სიყვარულს, კორექტულობას, თვითგანვითარების უნარს და მოსამართლის სტატუსისათვის შესაფერის სხვა აუცილებელ თვისებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

2. <u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:</u>

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა და სხვა. (35[1] მუხლის მე-5 პუნქტი).

მოპოვებული მონაცემებით დგინდება, რომ კანდიდატი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ან შემომწირველი, მედია სივრცეში ვრცელდება ინფორმაცია მისი საბჭოს წევრად არჩევასთან დაკავშირებით,

რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის მიუკერძოებლობის, პრინციპულობის, სამართლიანობის შესახებ. იგი არის ძალიან პრინციპული და ამასთანავე გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, არ ექვემდებარება ზეგაკლენას, არის პიროვნულად მტკიცე და და შეუვალი უსამართლობის მიმართ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

3. <u>პიროვნული და პროფესიული ქცევა:</u>

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, რომლებშიც იგი მონაწილეობდა, როგორც მხარე, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობა და სხვა. 35[1] მუხლის მე-6 პუნქტი.
საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში ლევან ნემსაძის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული.

ინტერნეტ სივრცეში იძებნება ინფორმაცია ლევან ნემსაძის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩევასთან და უზენაესი სასამართლოს კანდიდატობასთან დაკავშირებით.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით -კანდიდატი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა.

კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

4. <u>**პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:**</u>

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა.35[1] მუხლის მე-7 პუნქტი.

რეკომენდატორები გამოარჩევენ მის თავაზიანობას, პატიოსნებას. პროფესიულ წრეებში კანდიდატი სარგებლობს განსაკუთრებული ავტორიტეტით. ურთიერთობაში გამოირჩევა არამარტო კორექტული, არამედ აქვს განსაკუთრებული უნარი მართოს საკუთარი ემოციები და ამასთანავე კოლეგებში გამოიწვიოს მისი პიროვნების და მისი ქცევის მიმართ პატივისცემა.

შესაბამისად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მივიჩნიე, რომ კანდიდატი **სრულად აკმაყოფილებს** კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

<u>**მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:**</u>

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის თანახმად კომპეტენტურობის კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატი ფასდება ქულებით. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლის მნიშვნელობიდან გამომდინარე თითოეული მახასიათებლის მიხედვით მოსაპოვებელ ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა:

ა) სამართლის ნორმების ცოდნა - 25 ქულა;
ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 25 ქულა;
გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები - 20 ქულა;
დ) პროფესიული თვისებები - 15 ქულა;
ე) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 10 ქულა;
ვ) პროფესიული აქტივობა - 5 ქულა.

1. <u>**სამართლის ნორმების ცოდნა:**</u>

სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის (მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის) მის მიერ ცოდნის დონე.35[1] მუხლის მე-9 პუნქტი.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატი ფლობს სისხლის სამართლის როგორც მატერიალურ ისე საპროცესო ნორმებს და კანონმდებლობას. კანდიდატმა

წარმოადგინა სამართლებრივი ნაშრომი, თემაზე: „აღდგენითი მართლმსაჯულების არსი და მნიშვნელობა“

საჯარო მოსმენისას კანდიდატმა გამოავლინა ეროვნული კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის ცოდნის უმაღლესი დონე. მეკითხვები დაისვა სისხლის სამართლის როგორც საპროცესო ისე მატერიალური ნაწილის სფეროდან. კანდიდატმა ისაუბრა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის განთავისუფლების საფუძვლებზე, ნივთმტკიცების გადაწყვეტის წესზე, სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებზე, სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე, ვრცლად ისაუბრა სასჯელისაგან განთავისუფლების საფუძვლებზე, განაჩენის სააპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრების წესზე, განმარტა სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს არსი და სხვა,

რეკომენდატორები უთითებენ კანდიდატის ცოდნის შესახებ, ადამიანის უფლებათა კონვენციის, დამატებითი ოქმების ცოდნისა და საკონსტიტუციო სამართლის სიღრმისეული ცოდნის შესახებ. განსაკუთრებით გამოყოფენ მის ცოდნას სისხლი სამართლის მიმართულებით.

2. <u>სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია:</u>

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება და სხვა.35[1] მუხლის მე-10 პუნქტი.

ლევან ნემსაძეს აქვს სამართლებრივი ნორმის მართებულად განმარტების უნარი. შეუძლია ნათლად და დამაჯერებლად გადმოსცეს თავის აზრი. დამაჯერებლად ასაბუთებს პოზიციას. ჩამოყალიბებული აქვს სწორი ანალიტიკური და სამართლებრივი აზროვნების უნარი. მას აქვს სხვადასხვა სფეროში და თანამდებობაზე მუშაობის 14 წლიანი პროფესიული გამოცდილება. ამჟამად კანდიდატი გახლავთ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი.

გასაუბრების პროცესში დასმულ სამართლებრივ შეკითხვებზე მის მიერ გაცემული პასუხები იყო საფუძვლიანი და დამაჯერებელი.

3. <u>წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები:</u>

წერის უნარის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ წერილობითი აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი გამართულად მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.35[1] მუხლის მე-11 პუნქტი.

ლევან ნემსაძის სამართლებრივი დოკუმენტის გაცნობის შედეგად ვასკვნი, რომ დოკუმენტი სტილისტურად გამართულია, კანდიდატი აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, შინაარსი ადვილად აღსაქმელია და რედაქციული შეცდომები არ დაფიქსირებულა. რაც შეეხება ზეპირი კომუნიკაციის უნარს, ის ყოველთვის ღიაა, აქვს განსაკუთრებული უნარი

მოთმინებით მოუსმინოს სხვის აზრს, მაი შორის არამარტო მისთვის განსხვავებულს, არამედ მიუღებელ აზრსაც კი.

კანდიდატმა საჯარო მოსმენის დროს გამოავლინა ზეპირი კომუნიკაციის კარგი უნარი, მეტყველებდა მშვიდად და გამართულად. დასმულ შეკითხვებს აღიქვამდა სწორად და აზრს გადმოსცემდა არგუმენტირებულად და დამაჯერებლად. მიმაჩნია, რომ შესწევს განსხვავებული აზრის მოსმენის უნარიც.

4. <u>პროფესიული თვისებები:</u>

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა. 35[7] მუხლის მე-12 პუნქტი.

არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი მშვიდი, გაწონასწორებული, პუნქტუალური, შრომისმოყვარე და მოწესრიგებული პიროვნებაა. აქვს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, არის მიზანდასახული, გააჩნია მენეჯერული უნარ-ჩვევები და მისი ეს თვისებები განსაკუთრებით თვალსაჩინოა სწორედ სტრესულ გარემოში.

5. <u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა:</u>

აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.35[1] მუხლის მე-13 პუნქტი.

კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული ერთ ტრენინგში

- ✓ 05.04.2016 წ. – 07.04.2016 წ. ბორჯომი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების GIZ მიერ ორგანიზებული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სისტემის რეფორმის სტრატეგიის შემუშავების სამუშაო შეხვედრა;

6. <u>პროფესიული აქტივობა:</u>

პროფესიული აქტივობის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, მისი სამეცნიერო და სხვა პუბლიკაციები, იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე მისი დამსახურება და სხვა.35[1] მუხლის მე-14 პუნქტი.

კანდიდატი ამჟამად არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, კანდიდატს არ აქვს გამოქვეყნებული სტატია/მონოგრაფი, კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით (2023 წლის 24 სექტემბერი). 2024 წლიდან კანდიდატი არის გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტი. მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ სასწავლო ღონისძიებაში. კარგად ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

მივიჩნევ, რომ კანდიდატი პროფესიულად არის აქტიური. იგი ღიაა სიახლეების მიმართ და ცდილობს თვითგანვითარებას. შეძენილ ცოდნასა და გამოცდილებას იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.

<u>კანდიდატის საბოლოო შეფასება:</u>

კანდიდატს კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ვანიჭებ 92 ქულას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი

საბჭოს წევრი მანუჩარ კაკოჩაშვილი

თარიღი: 26.06.2025